



იმისთანა წმინდა საცმეში, ბეგბინდ ბუქ-
ვუბი სიფყავა, ცუდიულებით და ჭებრებით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯანსიბაზე უსამაგლუსია.

გაყოფის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

შაბათი-კვირა, 31 აგვისტო-1 სექტემბერი. 2019 წ. №171-172 (8837-8838)

ფოსტა: sakresp@mail.ru

ფასი 60 თეთრი

ეჭ, ანაკლია! **3ინ - ოჭ, ფოთი!**

მსარდამჭერი, 3ინ - მტერი!

ვიღრა ანაკლიის პორტის მუშაობა უარდება, რუსეთი შავ ზღვაზე კიდევ ერთი ღრმადი მუშაობას იწყებს

რას აპირებს რუსეთი და რა მოხდება ტამანის ნავსადგომის ამოქმედების შემდეგ; აქვს თუ არა ანაკლიის პორტს განვითარების რეალური პერსპექტივა და დაიკავებს თუ არა მსოფლიო რუკაზე ადგილს; რატომ არის ტამანის ნავსადგომი ანაკლიის პორტისთვის საფრთხე და რატომაა შესაძლებელი რუსულმა პროექტმა ქართული პორტი დააბაუზოს? — „კომერსანტი“ შეეცადა ყველა დეტალი და საკითხი შეესწავლა. სანამ ანაკლიის პორტთან კონკურენციის ნაწილზე გადავალთ, მანამდე მის მთავარ კონკურენტზე გიამბობთ და სიღრმისეულად დაგანახებთ რუსული პროექტის მნიშვნელობას ჩრდილოეთისთვის:

ტამანის კონსორციუმი RMP (RusMorPort), რომელმაც კონცესიით აიღო ახალი რუსული პორტი ტამანის მარტვა, თავის თავში გააერთიანებს 5 კომპანიას: RosMorPort, Kuzbass-RazrezUgol, MetaloInvest, RZD რუსეთის რკინიგზა და SUEK.

ტამანის ნავსადგომი სტრატეგიულად მდებარეობს ქერჩის სრუტის რუსულ მხარეს, რომელიც შავ ზღვას აკავშირებს აზოვის ზღვასთან, რუსეთის მიერ უკანონოდ ოკუპირებული ყირიმის ნახევარკუნძულის მოპირდაპირე მხარეს.

რუსული პორტი ახლად დაშენებული (3 მლრდ. ევრო) სადავო ხიდის საგზაო ინფრასტრუქტურას უკავშირდება. ხიდი გადაკვეთს ქერჩის სრუტეს და აკავშირებს ოკუპირებულ ყირიმს რუსეთთან. უკრაინა აგრძელებს ხიდის წინააღმდეგ პროტესტს, რადგან მას მიიჩნევენ ძალიან მოუხერხებლად იმისთვის, რომ დიდი და შესაბამისად მაღალი გემები შევიდნენ აზოვის ზღვაში.

„ხიდის გამო, გემების 23%, რომლებიც აზოვის ზღვაში შევლენ, ვერ შეძლებენ ოპერირებას, რაც გამოიწვევს უკრაინის პორტ მარიუპოლში ტვირთსაქადის 43%-ით კლებას“, — აცხადებს უკრაინის მთავრობა. იგი ირწმუნება, რომ ხიდის მშენებლობის შემდეგ მხოლოდ 160 მ-მდე სიგრძის და 8 მ-მდე სიღრმის გემები შეძლებენ ოპერირებას ხიდით „გადაკეტილ“ ტერიტორიაზე.

იხ. 3 გვ.

პრაპზადა 4

ლაყაფისტუბი

გვარაზში

„ბანკირებს ყველაფრის უფლება აქვთ“ ... 5

ტყვისთვის მარდამჭერილია

აბვისტოს ოვის უინდისალი 6

ბმირები ბანკებთან ომში დაბარსხდნენ!

BBC: საქართველოს რაგბის აღმავლობაში ბიძინა ივანიშვილმა უდიდესი წვლილი შეიტანა

„რბ უნდა ვიცოდეთ ქართველი მორაგბეების შესახებ“ — ასეთი სათაურით აქვეყნებს სტატიას გაერთიანებული სამეფოს საზოგადოებრივი მაუწყებელი (BBC) 31 აგვისტოს თბილისში დაგეგმილ შოტლანდიისა და საქართველოს ეროვნული ნაკრებების ტესტ-მატჩის წინ.

„შოტლანდია თიერ ერთის პირველი ნაკრები იქნება, რომელიც შაბათს ტესტ-მატჩს საქართველოში, იმ ქვეყნის ნაკრებთან გამართავს, რომელიც გლობალური რაგბის ახალ და განვითარებად ძალად მიიჩნევა. საქართველოს ნაკრებს ჰყავს მძიმე და ხმაურიანი მიმდევრები, ასევე ევროპაში თიერ ორის ტიტულების ცვენა და ყოფილი პრემიერ-მინისტრის მილიარდობით დოლარი“, — აღნიშნულია სტატიაში. BBC-ის ცნობით, 16 წელიწადში საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ შვიდი საერთაშორისო მატჩი ჩაატარა პირველი თიერის გუნდებთან.

„შოტლანდიელებთან ბურთის გაგორება არის შესაძლებლობა, რომელსაც ქართველი მორაგბეები დიდი ხანია, ელოდებიან“, — ნათქვამია სტატიაში.

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ საქართველოს რაგბის აღმავლობაში საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა უდიდესი წვლილი შეიტანა. როგორც საქართველოს ნაკრების მწვრთნელი მილტონ ჰეიგი ამბობს, ივანიშვილი რაგბის ფანი არ არის, მაგრამ ის სპორტში შთაგონების წყაროს ხედავს და ასევე შესაძლებლობას, გააცნოს მისი ერის შვილები მსოფლიოს.

BBC-ის ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილის ინვესტიციით თბილისში უმაღლესი დონის ბაზა აშენდა, რომელიც კონკურენციას ყველაზე სახელოვანი ნაკრების ბაზებსაც კი უწევს. გამოცემის ცნობით, საქართველო მსოფლიო რაგბის რეიტინგში იტალიას უსწრებს.

„საქართველო უმოწყალოდ წარმატებული იყო მეორე თიერში და უკანასკნელი მსოფლიო თასის შემდეგ დაამარცხა სამოა, ტონგა, ფიჯი, კანადა და აშშ. ამიტომ საქართველო რეიტინგში მეთორმეტე ადგილს ინარჩუნებს. ის იტალიას უსწრებს და სულ მცირედით ჩამორჩება არგენტინას, რომელმაც 2015 წლის შემდეგ რაგბის ჩემპიონატი მხოლოდ სამჯერ მოიგო“, — ნათქვამია სტატიაში. BBC იმასაც აღნიშნავს, რომ საქართველოს 20-

წლამდელთა ნაკრებმა შოტლანდიელი თანატოლები დაამარცხა და ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა.

„საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წარმატების სულისჩამდგმელი თედო აბუადაძეა, რომელმაც უკვე 10 თამაში ჩაატარა ეროვნული ნაკრებში და მწვრთნელ ჰეიგის ნომერ პირველ დასაყრდენად იქცა“, — წერს BBC.

გაერთიანებული სამეფოს საზოგადოებრივი მაუწყებელი აღნიშნავს, რომ საქართველო უკვე წლებია, „ექვსი ერის“ გაფართოებისთვის და ამ ტურნირში ადგილის მოსაპოვებლად იბრძვის, თუმცა ამ ეტაპზე „ექვსი ერის“ გაფართოებაზე დისკუსია არ მიმდინარეობს.

„თუ მე ვერ ვათამაშებ ბიჭებს თიერ ერთის ნაკრებებთან, მაშინ ჩემი მოთამაშეებისთვის უკეთესი კონკურენტი მჭირდება. ჩვენ გვყავს მორაგბეები საფრანგეთის ტოპ 14-ში და ეს კარგია, მაგრამ ჩვენ გვინდა, მეტმა მოთამაშემ შეძლოს უფრო მაღალ დონეზე თამაში და ეს ხშირად ხდება, რათა უნარები განვითარონ“, — ამბობს მილტონ ჰეიგი.

დღეს დიდი რაგბია!



სანტრალური ხელისუფლების ყველა ნაბიჯი, მათ შორის პოლიციის საბუღაბოს მონაწილეობა, ემსახურება დემსკალასიას და სტაბილურობას

ყველა ნაბიჯი, რომელიც ჩვენი მხრიდან იდგმება, სიტუაციის დეესკალაციისკენ და ზოგადად, უსაფრთხოების გარემოს უზრუნველყოფისკენ არის მიმართული, ისევე, როგორც პოლიციის საგუშაგო ჩორჩანას მახლობლად, — ამის შესახებ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა, ქეთევან ციხელაშვილმა განაცხადა.

„ამასთან დაკავშირებით განცხადებები, რომლებიც ვრცელდებოდა, იყო აბსოლუტურად გაუმართლებელი იყო. „ამასთან დაკავშირებით განცხადებები, რომლებიც ვრცელდებოდა, იყო აბსოლუტურად გაუმართლებელი ყველა თვალსაზრისით და არა მარტო სამართლებრივი თვალსაზრისით. ცხადია და ჩვენ გვაქვს იმედი, რომ შედეგება ტექნიკური შეხვედრა, რომელზეც გვაქვს მოლაპარაკება. ადგილზე იმყოფებიან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი და ეუთო-ს სპეციალური წარმომადგენელი ჟენევის თანათავმჯდომარე ვიქტორი“

რობ, ნამდვილად საჭიროა გაცნობიერება, რომ არავის ინტერესში არ შედის რამე ტიპის ესკალაცია. დაზუსტებით შემძლია გითხრათ, რომ მოსახლეობის ინტერესში ეს არ და ვერ იქნება, საოკუპაციო ხაზის როგორც აქეთ, ისევე იქით მხარეს, იქნება ეს ჩორჩანა თუ წნელისი, არ აქვს მნიშვნელობა“, — განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

თული ძალისხმევა. „სახელმწიფო მინისტრი სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა, თითქოს ახლომდებარე სოფლებს მოსახლეობა ტოვებს. ციხელაშვილის თქმით, ეს სიმართლეს არ შეესაბამება. „ჩემი ინფორმაციით ასეთ ფაქტებს ადგილი არ აქვს. ვმუშაობთ და მოგვიანებით უფრო დაზუსტებით შემეძლება, გითხრათ, მაგრამ ახლა ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, მოსახლეობა არ ტოვებს სოფლებს. არ ვიცი, რომელი არსებით ვრცელდებოდა მსგავსი ტიპის ინფორმაცია. ზოგადად ის, რომ ვითარება არ არის სასურველი და ქმნის დაძაბულობას მოსახლეობაში და საზოგადოებაშიც, ეს ფაქტია. ნებისმიერი ასეთი სახის მოქმედება თავის ხასიათით არის პროვოკაციული, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ სიტუაცია არის და უნდა იყოს კონტროლქვეშ, ჩვენ ყველა ძალისხმევა მივმართოთ, რომ სიტუაცია არ გართულდეს და პირიქით, მოვახდინოთ დეესკალაცია. რეალურად ესკალაციის საფუძველი აბსოლუტურად არ არსებობს. ჩემთვის გაუგებარია რატომ ხდებოდა ეს ამ დღეების განმავლობაში“, — აღნიშნა ციხელაშვილმა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან განსროლა არ განხორციელდება...



საქართველოს უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი კახაბერ ქემოკლიძე სოფელ ჩორჩანასთან იმყოფებოდა და მედიისთვის ასეთ ინფორმაციას ავრცელებს. მისი განცხადებით, ვითარება არის სტაბილური და გასროლა ოკუპირებული ტერიტორიებიდან არ მომხდარა.



„ამ დროისთვის ადგილზე ვითარება არის სტაბილური. არის სიმშვიდე. რაც შეეხება განსროლას, ჩვენი ინფორმაციით, ეს განსროლა განხორციელდა არა ოკუპირებული ტერიტორიებიდან, არამედ სამხრეთის ზონიდან, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს აქტიურ სამონადირეო სეზონს“, — განაცხადა კახაბერ ქემოკლიძემ.

„ამ დროისთვის ადგილზე ვითარება არის სტაბილური. არის სიმშვიდე. რაც შეეხება განსროლას, ჩვენი ინფორმაციით, ეს განსროლა განხორციელდა არა ოკუპირებული ტერიტორიებიდან, არამედ სამხრეთის ზონიდან, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს აქტიურ სამონადირეო სეზონს“, — განაცხადა კახაბერ ქემოკლიძემ.

ჩორჩანა-წნელისში სხელი ხაზი აქტიურად გამოიყენება

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის თანამშრომლები ჩორჩანა-წნელისის რაიონში 24-საათიან რეჟიმში რჩებიან, — ამის შესახებ ნათქვამია მისიის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ განცხადებაში. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის განცხადებით, უნებლიე ესკალაციის თავიდან ასაცილებლად აქტიურად გამოიყენება ცხელი ხაზი. „ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები ადმინისტრაციულ საზღვართან ჩორჩანა-წნელისის რაიონში 24-საათიან რეჟიმში იმყოფებიან სიტუაციის მონიტორინგისა და დაძაბულობის განმუხტვის მიზნით. მისიის ხელმძღვანელმა, ერიკ ჰოგმა ასევე დაათვლიერა აღნიშნული რაიონი სიტუაციის შესაფასებლად. მისიის ხელმძღვანელობით მოქმედი ცხელი ხაზი აქტიურად გამოიყენება ყველა მხარეს შორის ინფორმაციის გასაცვლელად და უნებლიე ესკალაციის შესაძლებლობის შესამცირებლად“, — ნათქვამია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის განცხადებაში.

სათუნა ლაგაზიძე: ევროკავშირის მისიის განსხილება უხერხემლო და არაფრისმომცემია

ევროკავშირის მისიის განცხადება უხერხემლო და არაფრისმომცემია — რუსეთს უნდა დაუმტკიცონ, რომ ძალისმიერი ქმედება იქნება ალტერნატივა, როგორც რუსეთის მხრიდან საომარი მოქმედებების დაწყება — ამის შესახებ ექსპერტი სათუნა ლაგაზიძე „ფეისბუქის“ გვერდზე წერს.



„მოგმართავთ მეგობრებო, კოლეგებო, ექსპერტული წრეების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებო, აქტივისტებო: გავაგრძელოთ ერთობლივი მიმართვა საერთაშორისო საზოგადოების, საერთაშორისო მისიების, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების — აშშ-ის და ევროკავშირის მისამართით, რომ ხმა აიმაღლონ რუსეთის პროვოკაციული ქმედებების წინააღმდეგ საოკუპაციო ხაზის გასწვრივ. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გუშინდელი განცხადება, რბილად რომ ვთქვათ, იყო უკბილო და უხერხემლო და არაფრისმომცემი. საერთაშორისო საზოგადოებამ მკვეთრად უნდა დაუმტკიცოს რუსეთს, რომ ნებისმიერი ძალისმიერი ქმედება განხორციელებული ქართული საგუშაგოს მიმართულებით იქნება ალტერნატივა, როგორც რუსეთის მხრიდან საომარი მოქმედებების დაწყება საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ და განხორციელდება შესაბამისი სანქციები. ჩვენ კი ღიადაც მკაფიოდ დავუფიქსირებ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს, რომ ამ ვითარებაში საქართველოს დატოვება ევროკავშირის მისიის მსგავსი არაფრისმომცემი განცხადებების ამარა, ჩვენი მხრიდან აღიქმება როგორც საქართველოს სახელმწიფოებრიობის განარგვა. დღეს ჩვენი ერთიანობა უაღრესად მნიშვნელოვანია და ეს ყველაფერი უნდა დაინახოს“.

უხსოვლი მხარდამჭერები ჩორჩანაში

სამხრეთ კავკასიაში ეუთოს სპეციალური წარმომადგენელი რუდოლფ მისხალკა და ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ხელმძღვანელი ერიკ ჰოგი ჩორჩანაში ჩავიდნენ. „ჩვენ მონადეხული ვართ იმისთვის, რომ კონსტრუქციული კუთხით გავაგრძელოთ თანამშრომლობა“, — ამის შესახებ ჩორჩანას საგუშაგოსთან მყოფმა საქართველოს უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსმა, კახაბერ ქემოკლიძემ ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, შეხვედრაზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება დააფიქსირებს პოზიციას, რომელიც შეესაბამება სახელმწიფო ინტერესებს. „ჩვენი პოლიციის საგუშაგოს, ბლოკპოსტის განთავსება ემსახურება ადგილზე უსაფრთხო გარემოს, რომელიც არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი მოცემული მომენტისთვის“, — აღნიშნა.

„ჩვენ მონადეხული ვართ იმისთვის, რომ კონსტრუქციული კუთხით გავაგრძელოთ თანამშრომლობა“, — ამის შესახებ ჩორჩანას საგუშაგოსთან მყოფმა საქართველოს უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსმა, კახაბერ ქემოკლიძემ ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, შეხვედრაზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება დააფიქსირებს პოზიციას, რომელიც შეესაბამება სახელმწიფო ინტერესებს. „ჩვენი პოლიციის საგუშაგოს, ბლოკპოსტის განთავსება ემსახურება ადგილზე უსაფრთხო გარემოს, რომელიც არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი მოცემული მომენტისთვის“, — აღნიშნა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ბიუჯეტის გაზრდას ითხოვს

ევროპარლამენტის წევრი, პოლონელი კანონმდებელი ანა ფოტიგა საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ბიუჯეტის გაზრდას ითხოვს. ამის შესახებ ევროდეპუტატი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ წერს. „რუსული საოკუპაციო ძალებისა და ოსური ფორმირებების კონცენტრაცია ქართულ სოფელ ჩორჩანასთან პროვოკაციისა და ესკალაციის საფრთხეს წარმოადგენს. საჭიროა მტკიცე საერთაშორისო პასუხი. აქედან მოდის ჩემ მიერ ინიცირებული შესწორება ევროკავშირის 2020 წლის ბიუჯეტისთვის, რომელიც საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დაფინანსების გაზრდას ითვალისწინებს“, — წერს ანა ფოტიგა.



პირველი გვერდი

მოგესხნებათ, 2014 წელს რუსეთმა ყირიმის ნახევარკუნძულის იძულებითი ანექსია განახორციელა და მიზეზად, იქ მცხოვრები რუსეთის ეთნიკური უმრავლესობის უკრაინის მთავრობის ზენონის ქვეშ ყოფნა დაასახელა. ამ ფაქტის შემდეგ ქერჩის სრუტის გავლით შავი ზღვიდან აზოვის ზღვაში გემების მიმოსვლის კონტროლი არის ერთგვარი საკვანძო ელემენტი რუსეთის მიერ ყირიმზე უფრო დიდი პრეტენზიის გამო-სახატავად.

2008 წლის აგვისტოში, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა და რუსეთის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერეს მთავრობის დადგენილებას, მსხვილი საერთაშორისო სატვირთო პორტის განვითარების შესახებ ტამანის პორტიდან სამხრეთით რამოდენიმე კილომეტრის დაშორებით.

ახალი პორტის მფლობელებს შორის წილები შემდეგნაირად გადანაწილდება: ახლანდელი ტამანის პორტის მფლობელი RosMorPort – 22.5%, KRU (Kuzbass-RazrezUgol) – 22.5%, მეტალოინვესტი – 22.5%, SUEK- (ციმბირის ნახშირის ენერჯო კომპანია, მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი) – 22.5% და ბოლოს რუსეთის რკინიგზა – 10%.

რუსეთის ტრანსპორტის მინისტრის განცხადებით, ოთხი ინვესტორი (სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი RosMorPort-ის გარდა) 1.14 მილიარდ ევროს ჩადებს პორტის პირველი ეტაპის განვითარებაში.

იგეგმება, რომ რუსეთის მთავრობა პროექტში 2.3 მლრდ, ხოლო კერძო ინვესტორები 2.4 მილიარდ დოლარს ჩადებენ. აღნიშნული ინვესტიცია მოიცავს პორტის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებასაც. 2024 წლისთვის ახალი პორტის დაგეგმილი გამტარუნარიანობა 66.9 მილიონი ტონა ტვირთი იქნება, რაც 2.7 მილიარდი დოლარის ინვესტიციის ხარჯზე მოხდება. ცნობისთვის: ტამანის პორტმა 2018 წელს 14.1 მილიონი ტონა ტვირთი გადაამუშავა.

2024 წლისთვის პორტს ექნება შვიდი მოქმედი ტერმინალი: ნახშირის, რომელიც KuzbassRazrezUgol-ს მოემსახურება – 20 მლნ ტ; ასევე ნახშირის ტერმინალი SUEK-ისთვის – 12 მლნ. ტ; მეტალურგიული ტერმინალი მეტალოინვესტირებსთვის – 9 მლნ ტ, სორბლის EFCO-ს ტვირთისთვის – 20მლნ ტ, ასევე ნახშირის ტერმინალი SDS Ugol – 5 მლნ ტ; სიმძლავრით; საბუნვერე Rosneft-ს 0,9 მლნ ტ; და ბოლოს სპეციალიზებული ტვირთის ტერმინალი Ros Tec (სამხედრო ტექნიკა).

ტამანის პორტების განვითარების მეორე ეტაპზე 2027-2030 წლებში, დაგეგმილია საკონტინერო და სასუქ-



ბის ტერმინალების მშენებლობა 37 მლნ ტ; სიმძლავრით. ტამანი ასევე მიიღებს ტვირთს, რომელსაც ახლომდებარე ნოვოროსიისკის რუსული ღრმანწყლოვანი ნავსადგური ვერ გაუმკლავდება. ტამანის ნავსადგურის სიღრმე 20-25 მ-ია, რაც საშუალებას იძლევა მოემსახუროს 220 000 ტონამდე გემებს.

ტამანში სამრეწველო ინდუსტრიული პარკის პროექტის განხორციელებით დაგეგმილია რუსეთის სამხრეთ ნაწილში ნაყარი ტვირთის გადაზიდვის უნარის დეფიციტის აღმოფხვრა. პარკი ასევე ნავთობქიმიური და აგრარული პროდუქტების რუსეთის ბაზარზე წარმოების შესაძლებლობას შექმნის, და ხელს შეუწყობს ქვეყნის ექსპორტს.

უკრაინული კომპანია Kernel Holding-ის ტერმინალის გამოყენების უფლებების შექმნით გლობალური ტრეიდერი Glencore-ი ცდილობს თითქმის გააორმაგოს თავისი მარცვლეულის საექსპორტო შესაძლებლობები Taman-ში. Glencore-სა და Kernel-ს ტამანის პორტის გამტარუნარიანობის 50%-ის გამოყენების თანაბარი უფლება ჰქონდათ.

ამ პროცესებში ჩართული კიდევ ერთი კომპანია გახლავთ სახელმწიფოს მიერ მართული ITB, რუსეთის მეორე უმსხვილესი ბანკი, რომელიც ფლობს ორ მარცვლეულის საექსპორტო ტერმინალს შავი ზღვის ნოვოროსიისკის პორტში და მოლაპარაკებებს აწარმოებს ტამანის პორტში ახალ ტერმინალში წილის შესყიდვაზე.

Kernel გახლავთ წამყვანი და უდიდესი მზესუმზირის ზეთის მწარმოებელი და ექსპორტიორი კომპანია უკრაინაში, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მთავარი მიმწოდებელი შავი ზღვის რეგიონიდან მსოფლიო ბაზრებზე. Kernel-სპროდუქცია ექსპორტზე გა-

აქვს მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში. Rusagrotrans-ის თანახმად, გლენკორე იყო რუსეთში სიდიდით მეორე ექსპორტიორი 2017/18 წლებში.

ამ გარემოებას ზოგადად და ტამანის ნავსადგურს კონკურენტულად, რომ დიდი უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია ანაკლიაზე, ამას HUB Georgia-ს დამფუძნებლის ვასო ურუშაძის არგუმენტებიც ამყარებს:

„ნოვოროსიისკის ნავსადგურის ერთი შეხედვით შემავსებელ ტამანის პორტს, მხოლოდ დამატებითი ზემოქმედება შეუძლია იქონიოს უკრაინის აზოვის ზღვის პორტებზე – მარიუპოლისა და ბერდიანსკზე, რომლებიც მხოლოდ დაზარალებულ და შეუმცირდათ ტვირთის მოცულობა 2014 წელს ყირიმის ნახევარკუნძულის რუსეთის მიერ ანექსიის შედეგად“.

რუსეთის ფედერაციის მიერ ნავსადგურის მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიცია პირდაპირ მიუთითებს, რომ პროექტი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისთვის პრიორიტეტულია.

„თავად პროექტი, როგორც გაუყინავი ნავსადგური, ფაქტობრივად, წარმოადგენს კასპის და შავი ზღვების დამაკავშირებელ „ევრაზიის“ სამდინარო არხს. ზუსტად ამიტომ და კიდევ პროექტში ჩადებული ინვესტიციებისა და რუსეთის ამბიციური გეგმების გამო, იგი პირდაპირ ანაკლიის პორტის კონკურენტი გამოდის.“

ფაქტია, ნავსადგურის ჩრდილოეთით გაფართოების პირობებში, ახალ აკვატორიაში, შესაძლებელი იქნება მსხვილტონიანი გემების მაქსიმალური საპროგნოზო 50 000 ტონა დედვეიტის მიღება. შედარებისთვის ოდესის ღრმანწყლოვანმა ნავსადგურმა 2018 წელს 117 000 ტონა დედვეიტის CASCO Shipping PANAMA კონტინერშიზიდი მიიღო. თუნდაც გემების ამ მასასიათებლებით ფოთის ნავსადგური ვერ იქ-

ნება „ღრმანწყლოვანი“. გარდა ამისა, ახალი ნავსადგურის აკვატორია, რომლის ფართობი 17.5 ჰექტარია, 270 მეტრზე გრძელი გემის წრიულად შემობრუნება დაუშვებელია“, – აცხადებს ურუშაძე.

ახალი ნავსადგურის შიდა აკვატორიის 17.5 ჰა ფართობს იკავებს, სადაც ქარბობს 4-5 მეტრი სიღრმეები იმისთვის, რომ არ დაირღვეს მომიჯნავე ჰიდროტექნიკური ნაგებობის სიმტკიცე და მიღწეულ იქნეს 13-მეტრიანი დაღრმავება. აუცილებელია აკვატორიის დაახლოებით 10 ჰა ფართობზე დაღრმავებითი სამუშაოების განხორციელება. ბუნებრივია, მაქსიმუმ 13-მეტრიანი დაღრმავება ვერ ჩაითვლება „ღრმანწყლოვანი“ ნავსადგურისთვის მისაღებ კრიტერიუმად.

მეორე მომენტია ის, რომ ანაკლიის ნავსადგური ძირითადად აქცენტირებული იქნება ჩინეთის ნავსადგურებიდან (შანხაი, ლიუნიანგანი და ა.შ.) 8 000 – 10 000 TEU წყალწყვის გემებით პირდაპირი მიმართულებით – საზღვაო გადაზიდვებზე, რადგან ჩინეთიდან 3000-4000 TEU-იანი გემების ევროპაში გაგზავნა ეკონომიკურად არარენტაბელურია; ფოთის ნავსადგურმა გაფართოების შედეგად, საპროგნოზო ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად აუცილებელია გაზარდოს კონტინერმზიდვის დატვირთვიანობა 1 500 TEU-დან 3000-4000 TEU-მდე, რითაც შესაძლებელი გახდება ტარიფები შეამციროს და გაზარდოს რენტაბელობა.

„ძალიან კარგად გამოიკვეთა ბოლო პერიოდში, თუ ვინ არის ჩვენი მხარდამჭერი და ვინ არის ჩვენი მტერი და მონიშნა მდგომარეობა, არსებობს პროდასავლური ძალები, არსებობს შაშვ, რომელიც ლიდავს უჭერს მხარს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და, შესაბამისად, ანაკლიის პორტის მშენებლობას. ასევე გამოიკვეთა ის ძალა, რომელიც ყველა ხერხით ბრძვის, რომ საქართველოში მსგავსი პროექტები არ განხორციელდეს, საქართველო ეკონომიკურად ვერ განვითარდეს, საქართველოს არ ჰქონდეს ფუნქცია და როლი, საქართველო არ იყოს ძლიერი და შემდგარი სახელმწიფო – ეს არის რუსეთი, ჩვენი არაკეთილსამსურველი, ჩრდილოელი მეზობელი. გვაქვს რეალობა, სადაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება კონკრეტული პოლიტიკური ძალის საშუალებით იზიარებს და ასრულებს იმ დავალებას, რომელიც მოდის სწორედ რუსეთიდან“, – განმარტავს ვასო ურუშაძე.

P. S. მასალა მომზადებულია პორტალ PortSEuroპ-ის ინფორმაციაზე დაყრდნობით.

სალომე ლეონიძე

ფოთის ნავსადგურის სარეკონსტრუქციო სამუშაოები დასრულდა!



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ არ დააკმაყოფილა სს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 30 მაისის ბრძანების ბათილად ცნობას ეხებოდა.

როგორც ცნობილია, 2019 წლის 2 მაისს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ დაამტკიცა (ბრძანება 77-04) ფოთში, საზღვაო ნავსადგურის ჩრდილოეთით ახალი ღრმანწყლოვანი მრავალფუნქციური ნავსადგურის მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადდა ამავე თვის 30 მაისს, სააგენტოს 92-04 ბრძანებით, რადგან, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ წერილობით გამოხატული პოზიციის შესაბამისად,

სად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ის მიწის ნაკვეთები, რომლებზეც დამტკიცებული იყო სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მოიცავდა ტერიტორიულ წყლებს და მათზე, კანონის თანახმად, ვრცელდებოდა განსაკუთრებული რეგულირების რეჟიმი.

სწორედ ამ ბრძანების ბათილად ცნობას ითხოვდა სს „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ ეკონომიკის სამინისტროში წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრით, რომლის დაკმაყოფილებაზეც უარი ეთქვა.

„დღეს მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო წარმოადგენს მნიშვნელოვან ორგანოს, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება, საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის და მისი შემდგომი

განვითარების გადამწყვეტილების მიღების პროცესში, ან თავად მიიღოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ფოთში, საზღვაო ნავსადგურის ჩრდილოეთით ახალი ღრმანწყლოვანი მრავალფუნქციური ნავსადგურის მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პი-

რობების დამტკიცების პერიოდისთვის გააჩნდა უარყოფითი პოზიცია, იყო მნიშვნელოვანი საფუძველი აღნიშნული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ „გამოცემული ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისთვის“, – განმარტავს ეკონომიკის სამინისტრო.

რამდენად მართალია ეკონომიკის სამინისტროს გადაწყვეტილება? რედაქცია სიამოვნებით მიიღებს და დააბეჭდავს სს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ხელმძღვანელთა და მათგან გამომდინარე, კომპეტენტურ პასუხს ეკონომიკის სამინისტროსადმი.



გაგაფიანების ხანა

დიდი „გვარაზმია“ ქართულ პოლიტიკურ არენაზე. დიდი „გვარაზმია“, რომელიც „რუსთავი-2“-მა, როგორც არა მდებარე საშუალებამ, არამედ როგორც დამნაშავე პოლიტიკური ძალის პროპაგანდის განყოფილებამ შექმნა, ხოლო ის ენ. კოჭაბიძაცია, რომელმაც ინდულგენციები და „ნარუშოლები“ ჩამოურიგა ხალხს, ვინც იმის ნაცვლად, რომ იძულების წესით მიიმე და ბინძურ სამუშაოებს ასრულებდეს, ტელევიზორებიდან თავიანთი ბოლმიანი, გაუნათლებელი და მწირი გონების ნაყოფს გვაფრქვევენ.

თავისუფალი სიტყვა იზღუდება! გვართმევენ დემოკრატიის უდიდეს მონაპოვარს!

ქვეყანა დაილუპება, თუ კვესიტაძე, გაფრინდაშვილი, გაგუას გამოხატვის უფლებას რაიმე დაემუქრება!

არც „გაატ@@რაკოთ“!

კვირბაბა და „ნანუკა“ კი არა, როდესაც 2007 წლის აპრილის 10-ს მიმართა „სამოქალაქო“ უამრავი რეალისტური განცხადება, ნამდვილ შურისსაძიებო სწრაფი იერიში და მისი განადგურება დაიწყო.

„იმედში“ შეჭრა მდებარე თავდასხმის ლოკაციური გაგრძელება იყო, მაგრამ არავის, ვიმეორებ – არავის! გაზეთებზე თავდასხმა არამც თუ გაუპროტესტებია (დაწყებული ენ. არასამთავრობოებით, გაგრძელებული დიპლომატიური კორპუსით და დამთავრებული რაღაც „ხაზებთან“ შეურიგებელი „ჩინური წარმოების“ ჟურნალისტებით), პირიქით აპყვენ „პრადვირტულ ტალღას“ და ბექდური მდებარე ლარიბი ნათესავის რანგში გადაიყვანეს.

კიდევ ერთი პიტხვი – ის დაწავა-გულაბა, რომელსაც საპარტიო კომპანია „რუსთავი-2“ ჰქვია, არასდროს, არასდროს არ ყოფილა შურისსაძიებო საშუალო აღზრდილი. ის მუდამ იყო აბრასიული ლიბერალიზმისა და დიქტატორის პროპაგანდის სამსახური.

არც ერთი, ვიმეორებ – არც ერთი, ვინც ამ პოლიტიკური პროპაგანდის სამსახურში მუშაობდა, არ ითვლება ჟურნალისტად.

არ ითვლება ჟურნალისტად არც ერთი, ვინც „ახალ ამბებს აკეთებდა“ და სიცრუის, ბოროტებისა და ძალადობის ტირაჟირებას ახდენდა.

არ ითვლება ჟურნალისტად და ტელეგადაცემის წამყვანად ის, ვინც მოსახლეობის გონებაზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას და მახინჯი ცხოვრების წესის პროპაგანდას ახორციელებდა.

ასე რომ, იმ „სასტავის“ „რუსთავი-2“-დან გაშვება არის მხოლოდ და მხოლოდ ჟურნალისტიკიდან თაღლითების ჩამოშორება.

სანამ ყველაფერს არ დავარქმევთ თავის სახელს, სანამ ვიქნებით აგრესიული ლიბერალების შიშის ქვეშ, სანამ ხალხი „ავს ავს არ უნოდებს“, სანამ იქნება „რალანაირი“ დამოკიდებულება იმ ტიპების მიმართ, რომლებმაც რაღაც მანქანებით მიინებეს ჟურნალისტის, მწერლის, ხელოვანის სახელი, ქვეყანა მუდმივად „დედის შიშის“ რეჟიმში იქნება.

უამრავი რამ ხდება ქვეყანაში. უამრავი, დაწყებული ფაროსანას განადგურებიდან (რასაც კოდოებიც მიჰყვა), გაგრძელებული იმ მართლაც საჭირო და აუცილებელი ინფრასტრუქტურული პროექტებით. პროექტებით რაც ყველა მგზავრს შეუძლია ნახოს.

ფეისბუკიც, რომელიც რეალურად თავისუფალი სიტყვის ერთადერთი ადგილი იყო, ამ მარაზმატიკების ტალღაზე გადავიდა.

გახსნიან თუ არ გახსნიან იმ რაღაც არსს – ფეხებზე არ გვიდიათ?

დამსვით ახლა და მატირეთ თაღლითი მარია გაფრინდაშვილი, მეორე თაღლითი თამარ ბალაშვილი და ნაძირალა ნოდარიკო მელაძე.

საქართველოში ძალიან დიდი ხანია დამკვიდრებულია სინდრომი, რომელსაც „დათა თუთაშხიას“ ერთ-ერთი გმირის ფრაზა – „Со мной Шанаев спал!“ სინდრომი ვუნოდებ. ამ სინდრომს აქვს გამოხატვის ფორმა – „თბილისში ერთი და იგივე ქალები თხოვდებიან“, რომელიც აბსოლუტური სიზუსტით გვეუბნება, რომ ფაქტობრივად ყველგან ერთი და იგივე ხალხი ტრიალებს და განსაკუთრებით ისინი, ვისთანაც ოდესღაც „Сам Шанаев спал!“

ხალხი, ვინც ამაყად აცხადებს, რომ „ისინი შანაევთან იწვნენ“, ფაქტობრივად ყველა სფეროში ბოგინებენ, მაგრამ განსაკუთრებით თვალში საცემია მათი სხვადასხვა ტელევიზიაში „მოღვაწეობა“ (პარლამენტიც კარგა გვარიაადაა „შანაევის ნაშები“ გაქმნილი).

ტელევიზიების იმ გადაცემებში, რომლებიც „ევროპული კინოს“ მსგავსად, ე.წ. ვინრო ჩვენებისთვის მზადდება და შედეგი ძირითადად არის ის, რომ გადაცემების სტუმრებისა და მასპინძლების ახლობლებმა, რომელთა 80 პროცენტს გადაცემა საერთოდ არ უნახავს, სოციალურ ქსელში უნდა! დაწეროს პოსტი, რომლის პათოსი ძირითადად ამ სიტყვებით გამოიხატება – რა შესანიშნავი იყავი უჭკვიანესო, (ულამაზესო, უნიჭიერესო და.შ. გააჩნია ტელეგამორის სქესს და თემას).

კარგად იცით, რომ მიჩას არცერთი ფრაზა, თუ ქმედება არ „მევახება“ (ძაააალიან რბილად ვამბობ), მაგრამ ძალიან ხშირად, როცა საზოგადოებისთვის საჭიროებო თემებში ჩართულ ტიპებს ვუყურებ, უფრო და უფრო მომწონს ფრაზა – ჩასარეცხები!

ფრაზა, რომელიც მიჩამ ხალხისთვის პატივსაცემი ადამიანების წინააღმდეგ გამოიყენა, რათა გაენთავისუფლებინა ადგილი იმ „კლასისთვის“, რომლებიც მართლაც ჩასარეცხები არიან.

სამწუხაროდ, ის ხალხი, ვისაც ხელეწიფება გარკვეული ქმედებების განხორციელება, მონუსხულებივით შესცქერიან შანაევებთან მოკოტრიალე ხალხს, ქმედებაში სრულ კარტ-ბლანშს აძლევენ და კიდევ ერთხელ „ათხოვენ“.

ზუსტად ასევე „გათხოვდება“, ანუ იმ რაღაც არსზე კვლავ „გამობრწყინდება“ ეკო მალრადე, რომელმაც „რ-2“-თან გამოსახოვარ, გულის ამაჩუყებელ წერილში ისეთი გრამატიკული შეცდომა დაუშვა, რაც გაუნათლებლობის პიკა: – პოსტში მშობლიური საარაგაულიდან, სადაც შევბუღებას ვატარებ. დასრულდა ჩემი 13-ტ წლიანი ისტორია რ-2-თან ერთად. ბევრი რამის თქმა შემიძლია, მაგრამ მოკლედ დავწერ-ამ.

არადა, დარწმუნებული ვარ, რომ ეკოს ხარაგაულში ძალიან კარგი პედაგოგი ეყოლებოდა.

მან კი სამწუხაროდ წერა-კითხვის სწავლას, კარგი ქალბატონის მოსმენას, ბოკერას, გვარამიას, ლომიას, არასამთავრობოების გოიმობა, გაუნათლებლობა, სწორხაზოვანი აზროვნება არჩია.

ბედნიერი იყო, როცა „გააცივდა და მოიგეს“ უყურებდა და მონაწილეობას არ იღებდა იმიტომ, რომ ფიქრობდა – თვითონ ვერ „გაქაჩავდა“, რადგანაც ინტელექტი არ ეყოფოდა. ლევანა ბერძენიშვილს და ნენე კვინიკაძეს უყურებდა როგორც მინაზე ჩამოსულ ღმერთებს. „ნაწუკა“ უმაღლეს ზღვრად მიაჩნდა.

ნუ გეშინია, ეკო. არა უშავს. შენაირები არ იკარგებიან. არ იკარგებიან და „გვარაზმატიკები“ უკვე პირდაპირ მუქარაზე არიან გადასულები.

საზარაძე იმუქრება ახალ მოძრაობას ვაფუძნებ და ბღღერს ვადენ ყველასო, გვარამია იმუქრება ახალ ტელევიზიას ვაცუშვებ და დედას გიტირებთო, ეს „ციყვი-შმუთა“ პარტიები იძახიან „უტუტუტუტო“, ბერძენიშვილები „ინტელექტებზე იყურებიან“, კვესო თავის IQ-ს რეკლამას ასხამს.

ნადით თქვენი ბუტუსურა პოლიტიკოს-ჟურნალისტი-ინტელექტუალი- IQ-ისტად „ბლატნი“ თავები რა ვთქვი. ვის ემუქრებით – ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს, ვისაც ნორმალურად შრომა და ცხოვრება უნდათ?

ვინ ხართ ასეთი გათახსირებულები, რომ ამდენი წელიწადია ვერ გაქვით? ვინ ხართ, რომ ლაყაფის და ფულის თვლის მეთი არაფერი იცით?

წესით, ერთად უნდა შეგყაროთ კაცმა, თოხი და ბარი მოგცეთ და მიტოვებულ სოფლებში დღე და ღამე მინდორში გაგაგდონ სამუშაოდ, მაგრამ იქაც არ ივარგებთ და რაღაცას გააფუჭებთ თქვე უმაქნისო პიფონებო.

დაახვიეთ აქედან სანამ მართლა ჩამოგიარეთ ფუნიანი ცოცხებით და გაგხვტეთ ამ ქვეყნიდან.

პოლიტიკორმატულოზის დაუცველად ვიტყვი: ვინც იმ პროდუქტს შეიძინა, რისი რეკლამაც იმ ე.წ. „მთავარ არხზე“ გავა, უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო გადატრიალების მუხრად და სისხლიანი დიქტატორის დაბრუნების მსურველად.

ის „გაუფლანგები“ კი ვინც იმ ე.წ. „მთავარ არხზე“ რეკლამას მიიტანს, ჩაითვალოს ტერორიზმის, იარაღით ვაჭრობის და სახელმწიფო გადატრიალების დაგვიანანსებალ!

ახლა არ დამიწყით „თავისუფალი სიტყვა“ და „გამოხატვის თავისუფლება“!

ორ ტელევიზიაში ვმუშაობდი, რომლებშიც რეკლამის მიტანა იმ თქვენმა „გენერალურმა დირექტორმა“, რომელიც მაშინ გენერალური (თუ რაღაც ჩემი ცოცორო) პროკურორი იყო, აკრძალა.

ახლა გაზეთში ვმუშაობ, რომელიც 101 წლისაა, რუსული ოკუპაციის პერიოდშიც არსებობდა და თქვენმა დედა-ავთქებულმა ბელადმა – ქართულ გაზეთებს არ ვითხოვო, განადგურება სცადა (ერთი „საქართველოს რესპუბლიკა“ განადგურებული და მეორე ეგ).

სინამდვილეში კი ჩვენ რომ საფრანგეთი, საბერძნეთი ან სხვა ნორმალური ქვეყანა ვიყოთ, დედებს მივუშუთავდით იმ „ფირმებს“, მაგრამ ჩვენ ხომ „პოლიტიკორექტულები“, 300000-იან აქციებზე ფოთოლს რომ არ ვაგდებთ და ძალადობას უკანალის ჩვენებით და სიმღერებით „ვამარცხებთ“, ის ხალხი ვართ.

ჩვენ ხომ ბოლო ყველთავეების და კაჟა ჩხეტიების ის შთამომავლები ვართ, ვინც კიკუს 5 მანეთად გახდაზე ოცნებობს მთელი ცხოვრება.

მიდით, „ბელესმენებო“, მისცხეთ. ანაკლისი გარდა კიდევ ბევრი საპორტი ადგილია (ვიდეოთექების და ვალუტის გადაძვლეული პუნქტების არ იყოს...

ზრდილობისთვის კიდევ ერთხელ ვამბობ – ვინც ამ ე.წ. „მთავარ არხზე“ რეკლამას მიიტანს, ბოიკოტი გამოვუცხადოთ და ფბ-ში „ცუდო შენა“ დავწეროთ! მანამდე კი ვიცხოვროთ ამ გვარაზში.

ბია ბაბრიძე



„ბანკირებს ყველაფრის უფლება აქვთ“ ...

ბანკებს, ბანკირებს, ყველაფრის უფლება აქვთ – მოსახლეობის გატყავების, გაუბედურების, გაღატაკების. მთავარია, პოლიტიკას არ შეეხონ, – აცხადებს პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე, მამუკა ხაზარაძის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.



96 612 900 ლარი გზის რეაბილიტაციისთვის

საპატრულო გზების დეპარტამენტის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერ-ლენტი-ლასდილის გზაზე, 25 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაციის ახორციელებს. პროექტი 2 მონაკვეთადაა დაყოფილი.

სარეაბილიტაციო მონაკვეთი, მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი მესტია-კალა-უშგულისა და ლენტი-ლასდილის 52 კმ-იანი გზის ნაწილია. ლენტეხი-ლასდილის მონაკვეთზე დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების რაოდენობა შეადგენს 3 ობიექტს, რომლის ჯამური საორიენტაციო ღირებულება 62 790 300 ლარია, ხოლო მესტია-კალა-უშგულის მონაკვეთზე დაგეგმილი 3 პროექტის განხორციელება, 33 822 600 ლარი დაჯდება.

მესტიისა და ლენტეხის დამაკავშირებელი გზა, რომელიც ზაგარის უღელტეხილზე უერთდება ერთმანეთს, რაჭა-ლეჩხუმის, ქვედა სვანეთისა და ზემო სვანეთის დამაკავშირებელ უმოკლეს გზას წარმოადგენს. ბოლო პერიოდში, ამ მარშრუტმა დიდი მნიშვნელობა შეიძინა ადგილობრივი და განსაკუთრებით უცხოელი ტურისტების რაოდენობის მკვეთრი ზრდის გამო.

დღევანდელი მდგომარეობით, არსებული საავტომობილო გზა პრაქტიკულად ამორტიზებულია, გზის სიგანე შევიწროებულია და სავალი ნაწილი ძლიერ დაორმოებული, არსებული ხელოვნური ნაგებობები კი პრაქტიკულად დანგრეულია. არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, გზის რეაბილიტაციის პროექტის შესაბამისად, გათვალისწინებულია ცემენტ-ბეტონის საფარის დაგება, არსებული ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაცია, პარამეტრების გაუმჯობესება და მოძრაობის უსაფრთხოებისთვის გზის თანამედროვე ელემენტებით აღჭურვა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ რეგიონების ეკონომიკური, ტურისტული და საკურორტო პოტენციალის სრულად გამოყენებას. პროექტის განხორციელების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდება სოფ. უშგულამდე და მესტიამდე მგზავრობის დრო.

2020-2022 წლებში ეტაპობრივად იქნება დასრულებული ლენტეხი-მესტიის დამაკავშირებელი სავტომობილო გზის რეაბილიტაცია, რომლის ჯამური საორიენტაციო ღირებულება 100 000 000 ლარამდეა.

„დღეს ვართ რეალობაში, როდესაც საქართველო ხუთმა-ექვსმა ჯგუფმა გადაინაწილა, ჩვენ კი, ვუყურებთ ამ ჯგუფებს შორის გამართულ დავას იმის შესახებ, თუ ვის სად აქვს წილები, ვინ ვისი წილი სად აქვს და ვინ ვის „კრიშავს“. ხუთნახევარ მილიონ ადამიანს რაც ყოფინადაა და აცხოვრებდა ნორმალურად, დღეს სწორედ ამ ჯგუფების ხელშია და ამაზე არავინ პასუხისმგებლობას არ იღებს. არც კანონი მუშაობს ყველასთვის ერთნაირად. სანამ მამუკა ხაზარაძეს „კარგი ზურგი“ ჰქონდა, წინა პრემიერის და მინისტრების სახით, მანამდე მისთვისაც შეიძლებოდა კანონების დარღვევა და არავინ პასუხს არ სთხოვდა. ახლა, რა უნდა ვქნათ, დაველოდოთ „საქართველოს ბანკს“ როდის აღარ ეყოლება ასეთი კარგი მფარველი? ისე, „ლიბერტი ბანკთან“ მიმართებაშიც, რომელიც ჩვენს პენსიონერებს ატყავებს, ძალიან ბევრი კითხვაა.



„ის მთელი მისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწეოდა და ჩვეულებრივი მე-ვასშობით იყო დაკავებული. და ის, რომ ბინებს ჩუქნის ვილაცხვებ, ვფიქრობ, ეს ახლა ცინიზმია, რადგან ჩემთან ყოველდღიურად მოდის უამრავი ადამიანი, ვინც სწორედ მისი საქმიანობითაა დაზარალებული. თუნდაც იმ მიკროსაფინანსოებით და იმ მევახშური საქმიანობით, რასაც ზოგადად ბანკები ეწევიან ამდენი ხნის განმავლობაში. რაც შეეხება ახალგაზრდების გვერდით დაყენებას, ისინი პოლიტიკური ბრძოლისთვის კი არ უნდა გამოიყენო, ქვეყანაში ისეთი კლიმატი უნდა შექმნა, ისეთი ეკონომიკური გარემო, რომ ამ ახალგაზრდებს პოლიტიკიდან გაქცევა კი არ უნდოდეთ, ქვეყნის აღმშენებლობა უნდა სურდეთ და ჰქონდეთ საშუალება, ქვეყანას და საკუთარ თავს ემსახურონ, საკუთარი მომავალი თავად შექმნან და არა – ვილაცხვებ და ვაღიარებ. სამწუხაროდ, შევეჩვიეთ, რომ ახალგაზრდები მართო საარჩევნოდ, პოლიტიკური ბრძოლისას გვახსენდება, პლაკატების გასაკრავად და ჩამოსახსენლად. მოკლედ, პოლიტიკური ლიდერი რომ გახდეს, ამისთვის პოლიტიკა უნდა იცოდეს, რაზეც ხაზარაძეს არანაირი ცოდნა არ გააჩნია. ისე, ერთიც უნდა ითქვას. ამდენი ხანი თუ ასეთი გაუგებარი სესხი არსებობდა ქვეყანაში, სად იყო ამ დროს მთავარი რეგულატორი, ეროვნული ბანკი?! ეროვნული ბანკის წარმომადგენლები რატომ არავინ დაკითხა? ეს ბანკის პრობლემა და პასუხიც სწორედ ეროვნული ბანკის იმ წარმომადგენლებზეა მოსათხოვნი, რომლებიც დღეს ასე თავის უფლად დადიან“, – განაცხადა ჭიჭინაძემ.

მისი თქმით, მთელი მისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწეოდა და ჩვეულებრივი მე-ვასშობით იყო დაკავებული. და ის, რომ ბინებს ჩუქნის ვილაცხვებ, ვფიქრობ, ეს ახლა ცინიზმია, რადგან ჩემთან ყოველდღიურად მოდის უამრავი ადამიანი, ვინც სწორედ მისი საქმიანობითაა დაზარალებული. თუნდაც იმ მიკროსაფინანსოებით და იმ მევახშური საქმიანობით, რასაც ზოგადად ბანკები ეწევიან ამდენი ხნის განმავლობაში. რაც შეეხება ახალგაზრდების გვერდით დაყენებას, ისინი პოლიტიკური ბრძოლისთვის კი არ უნდა გამოიყენო, ქვეყანაში ისეთი კლიმატი უნდა შექმნა, ისეთი ეკონომიკური გარემო, რომ ამ ახალგაზრდებს პოლიტიკიდან გაქცევა კი არ უნდოდეთ, ქვეყნის აღმშენებლობა უნდა სურდეთ და ჰქონდეთ საშუალება, ქვეყანას და საკუთარ თავს ემსახურონ, საკუთარი მომავალი თავად შექმნან და არა – ვილაცხვებ და ვაღიარებ. სამწუხაროდ, შევეჩვიეთ, რომ ახალგაზრდები მართო საარჩევნოდ, პოლიტიკური ბრძოლისას გვახსენდება, პლაკატების გასაკრავად და ჩამოსახსენლად. მოკლედ, პოლიტიკური ლიდერი რომ გახდეს, ამისთვის პოლიტიკა უნდა იცოდეს, რაზეც ხაზარაძეს არანაირი ცოდნა არ გააჩნია. ისე, ერთიც უნდა ითქვას. ამდენი ხანი თუ ასეთი გაუგებარი სესხი არსებობდა ქვეყანაში, სად იყო ამ დროს მთავარი რეგულატორი, ეროვნული ბანკი?! ეროვნული ბანკის წარმომადგენლები რატომ არავინ დაკითხა? ეს ბანკის პრობლემა და პასუხიც სწორედ ეროვნული ბანკის იმ წარმომადგენლებზეა მოსათხოვნი, რომლებიც დღეს ასე თავის უფლად დადიან“, – განაცხადა ჭიჭინაძემ.

BPN

დაანონსებული გაფიცვა არ შედგება

რკინიგზაში ახალი პროფკავშირის მხრიდან დაანონსებული გაფიცვა არ შედგება, – ამის შესახებ აღნიშნულია „საქართველოს რკინიგზის“ განცხადებაში.

მათი ინფორმაციით, რკინიგზელთა ახალ პროფკავშირთან სადაო საკითხები მოგვარებულია. „გაცნობებთ, რომ „საქართველოს რკინიგზის“ მენეჯმენტსა და „რკინიგზელთა ახალ პროფკავშირს“ შორის მდიაციის პროცესი წარმატებით დასრულდა. მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს. რკინიგზელთა ახალი პროფკავშირების მხრიდან დაანონსებული გაფიცვა არ შედგება. სადაო საკითხები მოგვარებულია“, – აცხადებენ „საქართველოს რკინიგზაში“.

ხელფასების გაზრდის მოთხოვნით, „საქართველოს რკინიგზის“ თანამშრომლების აქციები და გაფიცვები მიმდინარე წლის 4 აგვისტოს დაანონსდა. რკინიგზელთა ახალი პროფკავშირის წევრები ხელფასების 50 პროცენტით მომატებას ითხოვდნენ.



ციტრუსის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა დაიწყო

მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელიც დაკავებულია ციტრუსების მოყვანით, უნდა იცოდეს, რომ ციტრუსოვანი კულტურების დაზღვევის პროცესი უკვე დაიწყო და წლის ბოლომდე გაგრძელდება, – ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილი განაცხადა.

მინისტრის მოადგილე ფერმერებს მოუწოდა, არ დაელოდონ ამინდის გაუარესებას და დროულად დააზღვიონ მოსავალი.

„სახელმწიფო მზად არის, გამოყოფილია შესაბამისი რესურსი თანამონაწილეობისთვის, ეს არის 70 პროცენტის თანადაფინანსება, ბენეფიციარი კი ისდის მხოლოდ 30 პროცენტს. უმორჩილესი თხოვნაა, რაც შეიძლება ოპერატიულად გაატარონ ის დაზღვევის კამპანია, რომელიც უნდა მივიღოთ დაზღვეული ფერმერი ყოველგვარი სტიქიური პრობლემების დროს, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ, ყოველ წელს დგება. დაზღვევა ძირითად რისკებს ფარავს, იქნება ეს ქარიშხალი, ყინვა და ა.შ. დროულად დაზღვევა არის იმის წინაპირობა, რომ მოულოდნელი ყინვისგან ან სხვა მსგავსი გაუთვალისწინებელი ფაქტორებისგან ჩვენი ფერმერები დაზღვევულები იქნებიან“, – განაცხადა გიორგი ხანიშვილმა.

ევრონიუსის მენეჯმენტი და აჭარის ტურისტული პოტენციალი

აჭარის ტურისტულ პოტენციალს საერთაშორისო ტელეკომპანია „ევრონიუსი“-ს მენეჯმენტი გაეცნო. რეგიონში ვიზიტისას ტელეკომპანიის წარმომადგენლებს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე თინათინ ზოიძე შეხვდა, რომელმაც სტუმრებთან ერთად დეპარტამენტისა და „ევრონიუსი“-ს როგორც არსებული, ისე სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილა.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი, საერთაშორისო მასშტაბით, რეგიონის ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციას „ევრონიუსი“-ს მეშვეობით ბოლო წლებში აქტიურად ახორციელებს. აჭარის საზღვაო და სამთო პროდუქტები არაერთხელ მოხვდა ევრონიუსის გადაცემებში, როგორც სიუჟეტების, ასევე სატელევიზიო რეკლამის სახით. გარდა ევრონიუსისა, აჭარის სატელევიზიო რეკლამები ასევე ტრიალებდა Deutsche Welle-ს, BBC-ის, National Geographic-ის, Travel Channel-ისა და გერმანიის ადგილობრივი არხების RTL, N-TV ეთერში.

აჭარაში ვიზიტისას „ევრონიუსი“-ს წარმომადგენლები, ასევე შეხვდნენ ქალაქ ბათუმის მერს, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრსა და მოადგილეს, ბათუმის საავტორი კინოფესტივალის BIAFF მენეჯმენტს. ტელეკომპანიის წარმომადგენლებმა რეგიონი უკვე დატოვეს.



ამ აღაშიანებთან თვითონ ქვეყანა ტყვის...

აგვისტოს ომის შინდისალი გმირები ბანაკებთან ომი დაბარსდნენ - „სამოქალაქო თავდადებისთვის ორი მედალი გაქვს. მიწა ერთი „ლიბერთი ბანკს“ დავკიდო. სოლო გოგრა „საქართველოს ბანკს“

2019 წელი, 8 აგვისტო, სოფელი შინდისი - 11 წლის შემდეგაც რუსეთის საოკუპაციო ძალების კვალი აქ ყველაზე მძაფრად იგრძნობა. რეაქტიული ცეცხლმტყორცნებით და ყუმბარებით დაცხრილულ შინდისის რკინიგზის სადგურს ტყვიები დღემდე აქვს შემორჩენილი და არც არასდროს გაქრება. აქ დღესაც ნახავთ გმირულად დაღუპული ბიჭების რუსული ტყვიებით დაცხრილურ ჩაფხუტებს, მათარებს... მემორიალი, რომელიც 17 ჯარისკაცის სსონას ინახავს, გავესებს ძალიან დიდი ბრავით და სვედები, რომ დრო ოკუპაციას ვერასდროს განკურნავს.


2008 წლის აგვისტოს ომს ძალიან ბევრი გმირი ჰყავს, მათ შორის სამოქალაქო გმირები: ახმეტა სუციშვილი, შალვა კვინიძე, ილია კვინიძე და ნუკრი ლაბროშვილი. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენის, შინდისის ბრძოლის თვითმხილველები და მონაწილეები იყვნენ. ეს ის ხალხია, რომლებმაც რუსულ სამხედრო ნაწილთან უთანასწორო შეტაკების დროს დაჭრილი ჯარისკაცები, გვიან ღამით, ბრძოლის ველიდან სათითაოდ გამოიყვანეს, ჩუმად დამალეს სარდაფებში, მალულად გაუწიეს პირველადი დახმარება და ასე, საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინეს სუთი ქართველი მებრძოლები.

დღეს ისინი სამოქალაქო გმირების ორდენებს სახლში ინახავენ, შრომით დაღლილები გარდაცვლილი ჯარისკაცების საფლავებს პატრონობენ და აგვისტოს ტრაგიკულ დღეებში, წელიწადში ერთხელ, ჩასულ ხელისუფლების წარმომადგენლებს ქირისუფლად ხვდებიან შინდისის მემორიალთან. მერე ყველა მიდის და ისინიც, როგორც უსახელო გმირები. უბრუნდებიან საკუთარ ქირ-ვარამიან ცხოვრებას.

„კომერსანტმა“ სოფელ შინდისში ნახა, 11 წლის შემდეგ როგორც ცხოვრობენ 21-ე საუკუნის გმირები, იქვე მოისმინა როგორი იყო მათი ცხოვრება ომამდე და ომის შემდეგ.

დანიშნულების ადგილი სოფელ შინდისის რკინიგზის სადგურია. რესპონდენტს მოსვლა აგვიანდება, მცირე ხნის ლოდინის შემდეგ მემორიალთან შუა ხნის გამხდარი კაცი მოდის, ნელი, პატარა ნაბიჯებით. გადაღლილ სახეზე ღია მწვანე თვალები და გაბრაზება ეტყობა. სიგარეტს უკიდებს და დაგვიანებისთვის ბოდიშს იხდის. ახმეტა სუციშვილია, ვიცანი, ის მედიის ყურადღების ეპიცენტრში არა ერთხელ მოხვედრილა. მეუბნება, რომ გორიდან ჩამოვიდა, ბანკში დიდხანს დააყოვნეს - ეგონა, რომ კრედიტი დაფარა თუმცა, აღმოჩნდა, რომ კიდევ რამდენიმე თვე დარჩა გადასახდელი. ირკვევა, რომ აგვისტოს ომის გმირს 2008 წლის შემდეგ ხელფასი არ აუღია, ბანკი ფულს ჩარიცხვისთანავე აჭრის. კითხვის დასმა - როგორ ცხოვრობთ - დღეს არ დამჭირდა, თვითონვე ამბობს, რომ 2008 წლამდე ჩემი ცხოვრება გაცილებით უკეთესი იყო.

„2008 წელს იმისთვის, რომ მოსავალი მოგვეყვანა კრედიტები ავიღეთ. აგვისტოში, მაშინ, როდესაც მოსავალს მოვლა უნდა, ომი დაიწყო, გარშემო ყველგან რუსები იყვნენ და მე თოხი, ბარი და მო-



სანაშლი აპარატი უნდა ამელო და მემუშავა? | თვე მოუვლელ ბაღს წარმოიდგინეთ რა მოუვიდოდა. ეს აღებული სესხი ხომ ვალად დაგვედო, პლუს ამას ბანკებმა დაგვაჯარიმა. ისეთ მდგომარეობაში ჩამადეს, რომ ხშირად ვფიქრობ, ნეტა ომის დროს იმ ტერიტორიაზე, სადაც ჩუმად დავჭერებოდი ჯარისკაცების გადასარჩენად, მაშინ მოგვედარიყავი, უკეთესი იქნებოდა-მეთქი. გამიშრეს სისხლი ამ ბანკებმა... მაშინ, რომ მოვეყვანი რუსებს ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდებოდა

ყველაფერი. ერთი სესხის დასაფარად, მეორე ბანკიდან გამოვიტანე სესხი, მაგის შემდეგ სულ გადავადება გამოვადებაში ვარ. მეორე წელსაც ვცადე მოსავლის მოყვანა, სად მქონდა ფული, კიდევ სესხი ავიღე იქნება აქედან გამოვიდეს რამე მეთქი მაგრამ, არაფერი არ გამოვიდა, ყველაფერი სიგლახისკენ წავიდა და დღემდე 2008 წლის ვალებს ვისხდი. მართლმე კი არა მთელი სოფელი.

ბანკებმა გვაჯარიმეს და გვაჯარიმეს, იცით რა უნამუსოდ მოგვექცნენ? ვითომ სამშობლოს ვიცავდით, ჩვენს მიწას ვიცავდით მაგრამ, ეს მიწები ბანკებმა გაგვიყიდეს. მე ქართველ გლეხს, მიწას ქართველი ბიზნესმენი წამართმევს, ბანკირი თუ რუსი ოკუპანტი, რა მნიშვნელობა აქვს. სამოქალაქო თავდადებისთვის ორი მედალი მაქვს მიღებული, თუ შესაძლებლობა მომეცემა მიწა ერთი მედალი „ლიბერთი ბანკს“ დავკიდო, სოლო გოგრა, „საქართველოს ბანკს“, - ამბობს აგვისტოს ომის გმირი.

ახმეტა გვიყვება, რომ წელს ვაშლის ბაღებისთვის 720 ლარის წამლები იყიდა, თუმცა, სეტყვამ ყველაფერი გაუნადგურა. მოსავალი დაზღვეული არ ჰქონ-

მინაციაში მოსახვედრად და ოსკარის მისაღებად იბრძოლებს. ფილმში მოყოლილია როგორც დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების, ასევე ახმეტა სუციშვილის გმირული ისტორია, თუმცა ამაზე თავად ახმეტამ არაფერი იცის..

„მაშინ არ მიფიქრია რას ვაკეთებდი, ახლა უფრო მეშინია, ვიდრე მაშინ, ვერ ვხვდებოდი რას ვაკეთებდი. გული რასაც გვკარნახობდა იმას ვაკეთებდით თორემ, ბრძანება არავის მოუცია გადადი და ბიჭები წამოიყვანეთო. ჩემთვის ეს არაფერს ნიშნავს, ჩემი გაჭირვება მაქვს, ყველაფერი ჩემს თავზე დატრიალდა. ომის შემდეგ მეუღლეს თირკმელები გაუჩერდა, შემდეგ დიალევზე მყავდა, ორი წლის შემდეგ საწოლად ჩავარდა და 3 წლის წინათ დამეღუპა. ამერიკაში ვის აინტერესებს ვინაა ახმეტა. მე ამის შესახებ არ ვიცოდი, მაგრამ გეტყვით, რომ ჩემზე კარგი საქ-



მეები აქვთ გაკეთებული ჩემს სოფლებს, უბრალოდ მე იმიტომ გამოვჩნდი, რომ ამ ბიჭების სახელი მინდოდა სამუდამოდ დარჩენილიყო ისტორიაში, - ამბობს ახმეტა სუციშვილი.

2008 წლის აგვისტოს ომის გმირია ნუკრი ლაგორაშვილიც. საკუთარ გმირობაზე ახმეტას მსგავსად არც მას სურს საუბარი. ამბობს, რომ რაც სწორად მიანდა იმას აკეთებდა, მაშინ ვერც ნუკრი და ვერ ახმეტა ვერ იფიქრებდნენ, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდებოდნენ.

ცხოვრება ომის შემდეგ ეკონომიკურად დაღუპილი არც ნუკრი ლაგორაშვილისთვის ყოფილა. აგვისტოს ომის გმირი გვიყვება, რომ სოფელში ყველას თითქმის ერთნაირი სიტუაცია აქვს. სესხები, გაყიდული მიწები, განადგურებული მოსავალი და გაჭირვებაში მართლდარჩენილი ისტორიული სოფელი.

„2008 წელს ტანკების ხმაურით და ბომბების ჩამოვარდნით სოფელში ყველაფერი განადგურდა, მას შემდეგ ჩვენი ცხოვრება უკან-უკან მიდის. მიწები მაქვს, ხილ-ბოსტანის მომყავს, უფრო მეტს ვწვავლობთ, უფრო მეტს ვშრომობთ მაგრამ ყველაფერი ტყუილია. ახმეტას მსგავსად მეც ვალეებში ვარ ჩავარდნილი. პროდუქციის ფასი გაიზარდა, სანჯავის ფასი გაზარდილია, გლეხი უკვე ვეღარ წვდება ამდენ ხარჯს. მოიყვან მოსავალს, არ აქვს ფასი, არ მოიყვან და მშვიერი დარჩები. აღარ ვიცით უკვე რა უნდა გავაკეთოთ, - გვიყვება ნუკრი ლაგორაშვილი.

დაჭრილი ჯარისკაცებს გადაარჩენაში კიდევ ერთი ადგილობრივი გმირი შალვა კვინიძე ეხმარებოდა. სამხედრო, რომელიც აგვისტოს ომის დროს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების გამო შევუბნებულა იყო და სახლში უნდა წოლილიყო, პირდაპირ სამხედრო პოლიგონზე აღმოჩნდა. შალვა კვინიძემ დღეს სამხედრო ფორმას აღარ ატარებს, ის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო საზღვარგარეთაა წასული და ოჯახის გადასარჩენად იქ მუშაობს.

სოფელ შინდისის მოსახლეობას თითქოს ყველაფერი საერთო აქვთ. საერთოა მათი ტრავმაცია, საერთოა მათი პრობლემები, საერთოა მათი ღირებულებები და როგორც აღმოჩნდა, საერთოა მათი ოცნებებიც.

ახმეტას და ნუკრის ოცნება აგვისტოს ომიდან 11 წლის შემდეგ ქვეყანაში მშვიდობაა, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი 11 წელია რთულ ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობს, ამბობენ, რომ მშვიდობის ფასი ქვეყანაზე არაფერია.

ბარო ადამია

<https://commersant.ge/ge/post/shindisi>

ბრძოლი უკრაინისთვის სახელო დახმარების შეჩერების საკითხს განიხილავს

დასავლური მედიის ცნობით, ტრამპის ეს გადაწყვეტილება შეშფოთებას იწვევს, როგორც დემოკრატების, ასევე რესპუბლიკელების რიგებში.

როგორც გამოცემები Politico და Reuters-ი გაველიან მალაჩინოსნებზე დაყრდნობით ნერენ, ტრამპის ბრძანებით, კიდევ ერთხელ გადახედავს სამხედრო დახმარების იმ პროგრამას, რომელსაც კიევი იყენებს რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტების წინააღმდეგ აღმოსავლეთ უკრაინაში.

Politico-ს წყაროს ინფორმაციით, ტრამპი გადაწყვეტილების მიღებისას ეფუძნებოდა იდეას, რომ „უბრუნველყოფილი უნდა იყოს თანხის შეერთებული შტატების საუკეთესო ინტერესებისთვის დახმარება“.

„პრეზიდენტი არ მალავს, რომ როდესაც საქმე გვაქვს სხვა ქვეყნების დახმარებასთან, მნიშვნელოვანია მოხდეს აშშ-ის ინტერესების პრიორიტეტიზაცია და სხვებმა უნდა გაიღონ საკუთარი წილი“, - წერს Reuters-ი, ეყრდნობა რა ამერიკელი მალაჩინოსნის სიტყვებს.

თეთრ სახლს აღნიშნულთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.



დავით სარჯიანი პრქენტი. 1925 წ.

ვინმე მივიჩნევ. მალე გაიწვავა, რომ გორკი სუყოველ პოეტურ ჟილეთს დაჰქვითინებდა.

იმ ჟილეთს მაინც ვინახავ, შემოდლია, ვისმე დავუთმო პრქენტიული მუგუმიისთვის.

ღრუბლი (მარგალიანი) ფრთალოდი გამოდგა. ცენზურამ თავისი ხელი არ დააკლო. ჩაყლაპული აზრების ნაცვლად მთელი ექვსი გვერდი გააწერტილიანა. იმ დღიდან წერტილო ვეღარ ვიტან. მძიმეგსაც.

3. ქნლი ღრქეპანი, რთული პრქნოპეპი მაიპკოპსკი ქალქსა და სიყვარულსა

გაშიშვლებული თუკი გრძნობ სირცხვილს, ვადომდე ურყოლა შენთა ბაგეთა, ჩემ უკან გვერდი მაისი იწვის, არც ერთი ტკბილი არ მახსოვს რიცხვი, და არც ალერსი მოამაგეთა.

სიყვარულს ტვინში ვაგვიგვიგებ, ვარედან არ ჩანს, გულანთებული შენვენ მოვდივარ! და სათამაშოს ვავიხილ ვაგვანს, სხვა არ გვეგონო, მე ის ძველი დონ-ვიხოტი ვარ!

თუ სულ ჩვარი ვავიხილ, ვავჩვარდი, დადექი და შენი მტვრიანი კიბეები ჩაწმინდე.

ჰაიდა, მაიპკოვსკი! სამხრეთი გამხდარა ძვინი! რითმას მოგზნოდა ნადიმ-ნადიმც, სიყვარულმა მოგჭამა ჭირი, ძვირფასო ვლადიმ ვლადიმჩ.

სულისა და ხორცის ვაყრას სიყვარული ახლავს მაყრად, სიყვარული ზღაპარია,

ჩვენი თავმესაფარია.

სიყვარულს ჩემსას მოციქული დაწნავს გვირგვინად, არაერთი გზა დამიდგება ყარბს თავდებად, გვირგვინში ჩემი შეძახილი იქცევა გრგვინად, დადლილი ფეხი უცაბედად გამოკავდება.

დღეს დილიდან აჭრილი ვარ, გულს ვერ ვირიგებ, კვლავ სიყვარულით დაჭრილი ვარ, ფეხათრევით მივდეგ ბილიკებს.

ცხვირს არცვის საქმეში არა ავყოფ, და არც ჩემს ხვაშიადს ვამხეულ, სიყვარულს დღეებად არა ვყოფ და არ ვცვლი არც კიდევ საყვარელ სახელთ.

უზარმაზარი ვაწვები სარკმელს

და შუბლით ვადნობ მინას. თუ ვეღირსევი ნეტავ სიყვარულს, მცირეს თუ ცაში მფრინავს? ამხელა სხეულს რად უნდა ჰქონდეს შეფოფინება მცირე? ანდა დუდილი მწირი? ნუთუ ვინახავთ ავტომობილის სადმე ნადიტა ჩრდილი? სიყვარულივით ავტომობილიც ვერ ვგუემა ადვირს და ახმინავს სიყვარულივით გულთა კავშირის საყვირს.

ნუ ჩამითვლი, ლილინკა, ამიკობას ქილიკად, შენამდე მომიყვანა უამრავმა ბილიკმა. წიგნს თუ ერქვა „ლილინკა“ მე დავარქევი „ლირიკა“.

(გაბრქეპი იქნება)



მაიპკოვსკის სახლი ბაღდათში

2. მაიპკოვსკი თავის სხროპობასა და თავის თავსა („მე თვითონ“ - აპტოპოპრაფიის მიხედვით)

ერთხელაც რომ ადგენ და ვამომბერტყონ რაც რამ წამიკითხავს, ნეტავი რა დარჩება ჩემგან?

მე და მედვედევი მაშინ ჯერ კიდევ თანაპრქიელი ვიყავით, რომ მოვინახულე. სოციალისტური ხელოვნების მოხელესაქმემა მინდა-მეთქი. კარგა ხანს იცინა: თავწყალს ვერ გაადენ, ძალა არ გვეყოფათ. ვფიქრობ, კარგად ვერ შემოფასა საქმისთვის თავწყლის გადენის უნარი.

ერთ დღეს ლექსმა თავი დამაწერინა, უფრო სწორად ნაწყვეტ-ნაწყვეტ მომაკალმინა. ჩემგური არ გამოვიდა. არსად არ დამიბეჭდავს. დამეა. მიჩქმის მულვარზე ვარ. რამდენიმე სტრიქონი წაუკეთებ ბურლიუკს, ერთ-ერთ ჩემს ნაცნობს. დავითი შემომამჩერდა, ამხედ-დამხედა და შეკვირდა - „ეს რა დავიწერია, ბიჭო! ღმერთმანი, გენიალური პოეტი ხარ!“ ასეთმა ზღვარდაუდებელმა და დაუმსახურებელმა ეპითეტმა მეცხნე ცაში ამომაყოფინა თავი. ვავლექსდი. ლექსის მეტი აღარაფერი არ მახსოვდა. იმ საღამოს სრულიად მოულოდნელად პოეტი ვავხიდი.

